# იმერეთი

**ფასი**: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნომერი ერთი შაური**. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

პარასკევი 4 ივლისი

**მისამართი**: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი" თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 96 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 96



კოლლეჟსკი სოვეტნიკი ანტონ პეტრეს ძე ქურციკიძე მწუხარებით აუწყებსთ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გადაცვლებას ძვირფასის მეუღლის

## კეკელა გიორგი წერეთლის ასულის
## ქურციკიძისას

რომლის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 6 ივლისს საღამოს, 5 საათზე, საკუთარი სახლიდან, ოლდენბურგის ქუჩა № 10. საფიჩხიის სასაფლაოზე. გთხოვთ მობძანდეთ და გვანუგეშოთ. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს შვიდს საათზე. ცალკე დასაპატიჟებელი წერილები არ დაიგზავნება.

ალექსანდრე, პოლკოვნიკი სამსონ გიორგის ძენი და მეუღლე მისი ესმა მიხეილის ასული, სერგეი დავითის ძე და გრიშა ალექსანდრეს ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გადაცვალებას პირველი ორი საყვარელი დისას, მეორე ძვირფასი მულისას, და დანარჩენნი საყვარელი მამიდისას

## კეკელა გიორგი წერეთლის ასულის
## ქურციკიძისას

და გთხოვენ ანუგეშოთ მიცვალებულის გამოსვენების დროს 6 ივლისს, დღით კვირას, საღამოს ხუთ საათზე, ოლდენბურგის ქუჩა № 10. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს შვიდს საათზე. ცალკე დასაპატიჟებელი წერილები არ დაიგზავნება

დესპინე ალექსის ასული ჭიჭინაძისა, ელენე ალექსის ასული წერეთლისა, მაშიკო და კატო ალექსის ასულნი ქურციკიძენი, ევთიმე იგივე დარისპან დავითის ძე ჭიჭინაძე და სტატსკი სოვეტნიკი გედევან დიმიტრის ძე წერეთელი, კაპიტანი სარდიონ ალექსის ძე და მეუღლე მისი ეკატერინე ილიას ასული ქურციკიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გადაცვალებას ძვირფასი ბიცოლასი

## კეკელა გიორგი წერეთლის ასულის
## ქურციკიძისას

გთხოვთ მობრძანდეთ კვირას, 6 ივლის, საღამოს ხუთს საათზე ოლდენბურგის ქუჩაზე № 10 და ანუგეშოთ მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს შვიდს საათზე. ცალკე დასაპატიჟებელი წერილები არ დარიგდება.

ქეთევან ალექსანდრეს ასული ჩარკვიანისა და კნეინა ფროსიკო ალექსანდრეს ასული ლორთქიფანიძისა, ნადვორნი სოვეტნიკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩარკვიანი და თავადი ანდრია ტარიელის ძე ლორთქიფანიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გადაცვალებას საყვარელი მამიდის

## კეკელა გიორგი წერეთლის ასულის
## ქურციკიძისას

გთხოვთ მობძანდეთ კვირას, 6 ივლისს, საღამოს ხუთს საათზე ოლდენბურგის ქუჩაზე № 10 და ანუგეშოთ მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს შვიდს საათზე. ცალკე დასაპატიჟებელი წერილები არ დაიგზავნება.

შაბათს, 5 ივლისს, ამა 1914 წლისა, დილის 1/2 საათზე; ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში დანიშნულია წლიური წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## რაფიელ სიმონის ძის ეზიკოვის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ქვრივი მისი ეკატერინა პეტრეს ასული ეზიკოვისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ.

მწუხარებასაშინა მყოფნი კნეინა ნარიოპ ნიჟარაძისა, მიშა დავითის ძე ნიჟარაძე და ნინო ჭითავასი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფელ ზედამაღლაკის მაცხოვრის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი კვირას, 6 ივლისს,

## სონია დავითის ასულის ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად.

უზომოთ მწუხარენი გერმანე პაატასძე, შვილები მისი: რაული, ნინო, და ანიკო ცირეკიძეები, ქვრივი ტერეზია მანჯავიძისა, პართენ მალაქიას ძე მანჯავიძე, გიორგი ანდრიას ძე, მეუღლე მისი პელაგია ადამას ასული, შვილები მათი: კალისტრატე და ალექსანდრე ცირეკიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გადაცვალებას პირველის უსაყვარლესი შვილისა, მეორეების უძვირფასესი ძმისას, მესამის საყვარელის შვილიშვილისას, მეოთხის დისწულისას, მეხუთის ბიძაშვილისშვილისას, მეექვსენის დაუვიწყარი ბიძაშვილისას **ლეონიდე გერმანეს ძის ცირეკიძისას** (სტუდენტის) გზათა უწყების საინჟინერო ინსტიტუტისა გასვენება დანიშნულია კვირას, ექვს ივლისს, ნაშუადღევის ხუთ სათზე, საკუთარი სახლიდან (ფრანგების ქუჩის შესახვევი) საფიჩხიის სასფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ექვს ნახევარ საათზე.

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს 1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში გამომცემელი კნ. **ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა.**

## მუშაობს
### ხრესილის მადნეული წყლის
#### ძმ. ქორქოლაძეების
## სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში" ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის"

## ქუთაისი
## პირველი კერძო სამკურნალო
### სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დილით.

**პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი ვ. პ. მოსეშვილი შინაგანი და ნევრვბის.**

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12 1/2—3 |

საღამოთ.

| | |
|---|---|
| გ. ღ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4 1/2—5 1/2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5 1/2—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი

## მევენახეთა საყურადღებოთ
### ძმა ქორქოლაძეების მაღაზიაში

**ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.




მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება. მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

**ექიმი ბ. ა. მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8. ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი**: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, გენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

სამღვთო სჯულის მასწავლებელთა
## საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

სტუდენტი.
## ვარლამ ფერაძე

ამზადებს მოწაფეებს **ყველა საგანში საშუალო სასწავლებლების** კლასებისათვის; აგრეთვე ამზადებს: აფთიაქის მოწაფეებს, 1 კლ. ჩინზე და სხვა.

ფასები ძლიერ ხელმისაწდომია.

მისამართი: ფოსტის შესახვევი, კ. მკურნალის სკოლა. ნახვა შეიძლება: დილით 9—12 საათ. საღამოთი 4—7 საათ.

## ნ. გარტვიგი.

სერბიის სატახტო ქალაქ ბელგრადში სწრაფის სიკვდილით გარდაიცვალა რუსის ელჩი სერბიაში ნ. გარტვიგი. ავსტრიის მემკვიდრე ჰერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის და მის მეუღლე ჰერცოგინ-ჰოჰენბერგის ტრაგიკულათ სიკვდილის შემდეგ, ელჩ გარტვიგის სიკვდილი უცნაურად და მოულოდნელად ჟღერს. გარტვიგი გარდაიცვალა ავსტრო-უნგრეთის ელჩის ბარონ გიზელის ბინაზე, იმ დროს, როცა ამ ორ ელჩს ფრიად მნიშვნელოვანი მოლაპარაკება ჰქონდათ უკანასკნელ ამბების შესახებ. გაზეთებში ჯერ არავითარი ისეთი ცნობა არ მოიპოვება, რომელიც ნებას გვაძლევდეს ვიფიქროთ რომ ეს სიკვდილი საიდუმლოებით იყოს მოცული. საზოგადო აზრია, რომ რუსის ელჩის სწრაფი სიკვდილი ავსტრიის „ტერიტორიაზე“ ბარონ გიზელის ბინაზე, შემთხვევითია.

როგორც ევროპის, აგრეთვე რუსულ პრესის საზოგადო აზრია, რომ გარტვიგის სიკვდილით რუსეთის დიპლომატიას ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი მოაკლდა. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს გარტვიგის სიკვდილს თვით სერბიისთვის და საზოგადოთ ბალკანეთის სლავიანებისთვის. მას სთვლიან შემქნელად ბალკანეთის კავშირისას, ბალკანეთის ომისას და და თითქმის ყველა შემდეგ ამბებისას, რომელთაც საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვეს და ევროპას დიდ განსაცდელს უმზადებდენ. მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა გარტვიგს, როგორც დიპლომატს, გერმანელთათვის საზოგადოთ და ავსტრიისთვის კერძოდ. მთელი გერმანული პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ გარტვიგი დაუძინებელი მტერი იყო გერმანელობისა, რომელმაც მიუხედავათ თავისი გერმანულის ჩამომავლოსისა, მთელი თავისი დიპლომატიური ნიჭი გერმანელების მტრობასა და სლავიანოფილობას შესწირა. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა გარტვიგს პანსლავიზის ისტორიაში, იქიდანაც სჩანს, რომ გერმანული გაზეთები არ მალავენ და აშკარად აცხადებენ: ბალკანეთის სლავიანებისთვის მისი სიკვდილი დიდი დანაკარგია, მაგრამ ევროპის მშვიდობიანობისთვის, რაც უნდა ცუდათ ჟღერდეს ეს ხმა—დიდი სარფაა, რადგანაც იგი მუდამ უდრეკი მტერი იყო ავსტრიისა და, მაშასადამე, სამთა კავშირისაცო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, მიუხედავათ ბალკანეთის კავშირის პირველის მარცხისა, გარტვიგი მაინც სცდილობდა კვლავ შეექმნაეს ანტი-ავსტრიული კავშირი, ცხადია მის მოღვაწეობას უფრო მეტი მნიშვნელობა და შედეგი ექნებოდა ახლა, როცა ავსტრიის მემკვიდრის სიკვდილმა ბევრი რამ შესცვალა ავსტრიის დიპლომატთა განზრახვებში. ეჭვი არ არის, რომ ავსტრიის სეთი კრიტიკული მდგომარეობით გარტვიგი მხოლოდ ისარგებლებდა. აი რით აიხსნება, რომ ავსტრია მის სარეცელის წინაშეც არ მალავს სიხარულს და აშკარად აღიარებს რა ძლიერი მტერი მოუკვდა მას.

## ჩვენი პრესა.

„სახალხო ფურცელში“ ბ. სიტყვა სწერს:

დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმის შესაგნებად, რომ საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურს ცხოვრებას დღეს გარკვევით დემოკრატიული ხასიათი აქვს. ამას ნათლად მოწმობს ქართული პრესის თვისება, ქართული წიგნის გასავალი, ქართული თეატრის განვითარება, ყოველი ქართული კულტურული დაწესებულების შედგენილობა და მიდრეკილება, ქართველი ერის საზოგადო პოლიტიკური - ეროვნული მრწამსი. ქართული გაზეთის, წიგნის, თეატრის კეთილდღეობა აშკარად დამოკიდებულია მდაბიო მკითხველსა და მაყურებელზე; ჩვენი საზოგადოებანი სულდგმულობენ არსებითად ამავე ხალხის მონაწილეობით; ჩვენი ყოველი საზოგადო საქმის არსებობა, ძალა და წინსვლა უზრუნველყოფილია მხოლოდ დაბალ წრეების მოქმედებით. ერთის სიტყვით, ყველგან და ყოველთვის უმთავრესი მომქმედი და მონაწილე მდაბიო ხალხია, მასსა, აქიდან ცხადია, თუ რა ტენდენციაა გაბატონებული ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ტენდენცია დემოკრატიულია, ხალხური.

ბ. სიტყვა „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში იმავე როლს თამაშობს, რა როლსაც თამაშობდა პრინცი ჰამლეტი—ელსინორში.

პრინცი კითხულობდა: სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს, გამოყეყეჩებული პოლონიუსები კი საქმეს აკეთებდენ.

## დეკეში.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

**ოზურგეთი.** შესდგა ურთიერთა დამხმარე კრედიტის დამფუძნებელთა კრება. საბჭოს თავჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ხუსკივაძე, გამგეობის თავჯდომარეთ ნაფ. ვექ. ევგენი ბოკერია. ოპერაციები დაიწყება 15 ივლისიდან.

## ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

კვირას, 6 ივლისს, სოფელ კურსებში ადგილობრივ ბიბლიოტეკა-სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა ლიტერატურული განყოფილებით. წარმოადგენენ მსახიობ ჩარკვიანის ასულის, ნემოს და გრ. ჩარკვიანის დახმარებით ვალ. გუნიას ისტორიულ დრამას „და—ძმა“-ს.

ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, დ. თომაშვილი; წაიკითხვენ ილ. ჭავჭავაძის, აკაკისა და სხვ. ლექსებს; იმღერებს მომღერალთა გუნდი ქართულ სიმღერებს, დასასრულ გაიმართება ლეკური და დაუკრავს ზურნა.

✦ ერთი თვეა, რაც ქუთაისში სოფლის მასწავლებელთა საგიმნასტიკო კურსები სწარმოებს, გემნასტიკის მასწავლებელი ბ. იასონ გაბაშვილის ხელმძღვანელობით. დღეს, საღამოს ექვს საათზედ, ამ კურსების „შევარდენ“—მასწავლებელთა გამოცდაა. მსურველთ შეუძლიან დაესწრონ გამოცდას. გამოცდა მოხდება რეალურ სასწავლებლის სადგომში.

✦ ხუთშაბათს, 10 ივლისს, ნაშუადღევის სამ საათზე დ. საჩხერეში დანიშნულია საჩხერის აკაკის სახელობის სამკითხველოს წევრთა წლიური საზოგადო კრება.

✦ 2 ივლისიდან ჩვენი ავათმყოფი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი თავს კარგათ გრძნობს. გუშინ 3 ივლისს იგი საწოლიდანაც ადგა და საჭმელიც კარგათ მიიღო. როგორც ექიმები იუწყებიან იგი სრულიათ განკურნებული არის, მაგრამ ჯერ სიარულის ნებას არ აძლევენ.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიის თავჯდომარეს გუშინ 3 ივლისს გუბერნიის საექიმო განყობილებამ აუწყა, რომ ამ ჟამათ ჩინეთის ქალაქ კანტონში და ინდოეთის იავაში,—ხორელა ძალზე გავრცელებულიაო.

✦ ამ მოკლე ხანში ქუთაისში აგრონომი იოსებ ქუთათელაძის ინიციატივით შესდგება სრულიად მეაბრეშუმეთა საზოგადო ყრილობა იმის გამოსარკვევათ, თუ რომელი ფირმის აბრეშუმის თესლი მიიღონ საუკეთესოდ და როგორ მოაწყონ მეაბრეშუმეობის კარგ ნიადაგზე დაყენება ქუთაისის გუბერნიაში.

✦ როგორც სოფ. ყუმისს თავიდან (ქუთ. მაზრა) ვაშტიმის საზოგადოებას გადაუწყვეტია თავის ყრილობაზე, რომ სოფ. ყუმისთავში დააარსონ ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. ამის შესახებ ყუმისთაველები სათანადო მთავრობას თხოვნას აძლევენ, რომ ამ სასწავლებლის გახსნის ნება-რთვა მისცეს.

✦ ქუთ. ბაზარზე აბრეშუმის მწონელთა კომისიის თავჯდომარე ბ-ნი ვლადიმერ სულაქველიძე თავის მოვალეობას სხვადასხვა მიზეზის გამო თავს ანებებს. იგი ამ საქმეს 15 წლის განმავლობაში პირნათლათ უსასყიდლოთ ასრულებდა.

✦ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა აცნობა ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგეობას, რომ მომავალ გამოცდებზე მერვე კლასის მოწაფეებიდან ნება აქვთ ეგზამენების ჩაბარებისა სულ 44 მოწაფეს.

✦ ახალგაზდა მწერლების ჯგუფი პროვინციებში უკვე გაემგზავრა სალიტერატურო საღამოების გასამართავად.

✦ ს. გორდში (ოდიში) იხსნება საამხანაგო დუქანი (საბაკალეინო სამანუფაქტურო).

✦ საშაბათს, 1 ივლისს, პუშკინის ქუჩაზე ღამით თავის ბინაზე ეძინა ფოტოგრაფ ვლადიმერ ჭ..შვილს, 12 საათზე მას პოლიცია თავს დაესხა (?) სახლის პატრონმა ალექსანდრე ჭეიშვილმა დაკითხვის შემდეგ ვლადიმერ ჭეიშვილი პოლიციამ გაათავისუფლა და ისევ თავის ბინაზე წავიდა დასაძინებლათ. საცა ის ტანისამოსს იხდიდა მას ხანჯლით სახლში შევარდნია ალექსანდრე ჭეიშვილი რამდენიმე ალაგას დაუჭრია გამოურკვეველია რამ გამოიწვია ასეთი მოქმედება.

✦ როგორც ქ. გორიდან გვატყობინებენ. იქ 1 ივლისს დილის 10 საათზე, შეიარაღებული ავაზაკები დაეცენ გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკს. ავაზაკებს ბანკის კასიდან გაუტაცებიათ 11,000 მანეთი, მაგრამ მათ გაქცევის დროს ქუჩაში გავარდნიათ 7,000 მანეთი. მათ პოლიცია და ჯარი უკან დადევნებია და ალყაც შემოურტყამთ. მაგრამ თუ რა შედეგი მოყვა ამას და ან ყაჩაღები ვინ იყვნენ ჯერ ამის ცნობა არ არის.

✦ 2 ივლისს ქუთაისის ბაზარზე პირველი ხარისხის პარკი 21 მანეთად ფასობდა.—ხონის ბაზარზე 20 მან. და 10 შაურათ. დ. ოზურგეთის –19 მანეთად. ზუგდიდის ბაზარზე 18 მანეთად.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერმა ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ შეკეთებულ იქნას როგორც პოლიცმეისტერის სამართველო, ისე მისი ბინა.

გუშინ, 3 ივლისს, ქალაქის გამგეობამ მომრიგებელ მოსამართლეს გაუგზავნა 142 საქმე გასარჩევათ. ეს საქმეები სულ ებრაელებზე შედგენილი ოქმებია სანიტარული წესის დარღვევისათვის.

✦ როგორც იტალიიდან და ევროპის სხვა სახელმწიფოებიდან გვატყობინებენ აბრეშუმის მოსავალი იქ წელს ნაკლები ყოფილა.

✦ აბრეშუმის მწონელთა კომისიას ხშირათ აბრეშუმის მყიდველებთან უკმაყოფილება მოსდისთ ვაჭრობის წესიერების დარღვევისთვის.

✦ ქუთაისში ამჟამათ აბრეშუმის პარკის შემოსვლამ ძალზე იკლო. უკანასკნელ დღეს საზოგადო სასწორზე მხოლოდ 50 ფუთი პარკი აიწონა. ამ სამ დღეში კომისია მუშაობას კიდეც შესწყვეტს, რადგანაც პარკი აღარ იქნება.

✦ მდაბიო მოქალაქეთა მიერ არჩეული მამასახლისი ბ. ძოძუაშვილი ჯერ გუბერნატორს კიდევ არ დაუმტკიცებია.

✦ როგორც გამოირკვა, წელს აბრეშუმის მოსავალი სხვა წლებთან შედარებით ბევრათ ნაკლები ყოფილა. ხონის ბაზარზე დღემდის აწონილა სულ 19000 ფუთი პარკი—ქუთაისის ბაზარზე კი 5800 ფუთი.

### შეცდომის გასწორება.

გაზ. „იმერეთის“ 2 ივლისის 94-ე №-ში მოთავსებულია წერილი: „დაგვიანებული პასუხი ტუაპსის წ. კ. გ. საზოგადოების მტრებს“, რომელშიც გაპარულა რამდენიმე კორექტურული შეცდომა: ამ წერილის პირველ სვეტის მესამე აბზაცის მეორმოცე სტრიქონში არის სიტყვა: დარჩა, უნდა იყოს დააარსა, მეორე სვეტის მეთუთხმეტე სტრიქონში არის რომ ცნებში, უნდა იყოს: რომ ამ ხანებში.

## სამტრედია.

— ორშაბათს, ღამით, აქ ქურდ-ბაცაცები თავს დაეცენ აქაურ წვრილ მოვაჭრეს ს. სტურუას, წაართვეს ფულათ 50 მ. და მიიმალენ. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს სამტრედიის რაიონში ძლიერ გახშირდენ ქურდ-ბაცაცები. საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ვაჟბატონების თარეშს.

მთელ დ. სამტრედიის რაიონში ძლიერ გახშირებულია ბავშების ავათმყოფობა—ბუცლის ყვანა, რომელმაც არა ერთი და ორი ბავში გამოასალმა წუთისოფელს. საჭიროა ადგილობრივმა ექიმებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ სენს და თავისი რჩევა დარიგებით დახმარება გაუწიონ ხალხს.

ხშირი წვიმების გამო, ყანები გაუმარგლელი აქვთ გლეხებს. კარგი მოსავლის იმედი ხალხს წელსაც არ აქვს.

## თფილისი

ქალაქის სასკოლოს 1915 წლის წინასწარ ხარჯთაღრიცხვის შედგენას უკვე შეუდგენ. ვარაუდით სასკოლოს 1915 წელს შემოსავალი ექნება 220,900 მან. ხოლო ხარჯი 100,00 მანეთზე ცოტა მეტი. უმთავრეს შემოსავალს საყინულე განყოფილებიდან მოელიან.

ხმ. გ. ნ. კეილმა ქალაქის გამგეობას განუცხადა, რომ ფარდები, რომელიც ტრამვაის ვაგონებზეა ჩამოკიდებული, უვარგისობის გამო თავის დანიშნულებას არ ემსახურება. ამის გამო სთხოვა, შესაფერი განკარგულება მოახდინოს გამგეობამ.

შუამდგომლობა. საბავშო სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ახალშენის საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას სთხოვა, დაუნიშნოს ამ საზოგადოებას ყოველწლიური შემწეობა 360 მან.

პოლიტეხნიკუმი, მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სამოსწავლო კომისიის კრება 3 ივლისს შესდგა.

## გ. თ. მკურნალის წერილი.

ვბეჭდავთ რა კონსტანტინე თეოხარის ძე მკურნალის (კორნარო) წერილს, რედაქცია ხელმძღვანელობს Anditur et altera pars—პრინციპით. წერილი იბეჭდება უცვლელათ იმ სახით, რა სახითაც წარმოადგინა თვით ავტორმა. რედაქცია არ დააყოვნებს, ზოგიერთ თეზისებზე პასუხი უგოს ავტორს.

—

ვინც იკადრებს წმინდათა-წმიდაში ბილწი კალამი შეიტანოს, ის სირცხვილ-ნამუსს მოკლებულია და იმას პასუხსაც არ მივცემ უმჯობესია დრო და ენერგია ისევ იმას მოვახმარო, რასაც მთელის თვისის არსებით ვეკუთვნოდი და ვეკუთვნი.

თქვენ დალოცვილებო! თუ, რაც კანონისა და მართებლობისგან აღკრძალული მქონდა ქართულის სწავლება, მაგრამ უშიშრად მისწავლებია 20-ის წლის განმავლობაში და სასახელოთაც დამიყენებია ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებელში საქმე, დღეს, ჩემთვის თავისუფლების დროს, რამ შემაშინა! ჭორიკანებმა და სიზმრებმა?—სულაც არა. მე და შიში?—შორს!

მოკლედ მოგახსენებ, ბბ. „ნაცნობნო“, რომ მე ისევ ის გახლავარ, რაც და როგორიც დღემდე გახლდი; რუსულს ვასწავლი რუსულად, ე. ი. იმ მეტოდით, რომელიც ევროპის განათლებულ სახელმწიფოებში ცნობილი და მიღებული, ხოლო ქართულს კი ქართულად. არ შემიძლია ვიძახო „Карандашъ стоитъ“ „стулъ лежитъ“.

„თავის ქება კიტრად ღირს“-ო ნათქვამია, მაგრამ მაინც მოგახსენებ, რომ მე სწავლება სრულიადაც არ მეზარება და არც მიჭირს და ყოველთვის სრულის რწმენითა და იმედით ვმუშაობ. ყოველი ცხენი თოხარიკია, რომ ყურის პარტყუნი არ ეზარებოდეს.- ხმამაღლა მომიხსენებია და კიდევ მოგახსენებ, კერპთაყვანისმცემელნო, რომ ნეტარხსენებული ი. ს. გოგებაშვილის წიგნები ძირი თადს შესწორებას და დამატებას ითხოვენ.—ვისაც სურს დარწმუნდეს თუ რომელ მეტოდზე ვდგივარ რუსულის ენის სწავლების დროს, მობრძანდეს და მოისმინოს, რომელ დროსაც ენებებოდეს. სწორედ სიზმარში მგონია ჩემი თავი, როცა წარმოვიდგენ ასე უადგილოდ ამხედრებას ზოგიერთების მხრით: ჯერ გაკვეთილიც არ მქონდა მიცემული, და ატყდა ხმაურობა: მხოლოდ ზარბაზანი აკლდა. რათა?—იმიტომ, რომ სხვის აწყობილ ჩონგურზე დამეკრა და დამემღერა. ესენი სულ გვიანი და უადგილოა ჩემთვის.

რომ დავაწყნარო, ბ.ბ. „ნაცნობებო“, თქვენი სული და გული, სიმართლეს მოგახსენებ და გარწმუნებ, რომ რუსულის სწავლების დროს მე ქართულს ხშირად მეტს ვხმარობ ვინემ თვით განსვენებული ი. ს. გოგებაშვილი იძლევა ნებას თავის სახელმძღვანელოებში. თუ ითქმება რამე მხოლოდ იმაზე, რომ მეტს ვავარჯიშებ მოსწავლეთა რუსული ცოცხალ სასკოლო და საოჯახო მუსაიფში, რათა ახალი შეძენილი სიტყვები დაიმკვიდრონ და თავისუფლად მოიხმარონ: მკვდარია სწავლა და ცოდნა, რომელსაც არ [illegible]ან ვერ ხმარობენ მას. მე წყალს არ ვნაყავ, არამედ—მარილს, რომლითაც მწარეს ვაგემრიელებ, --უადვილებ მოწაფეთა ენის შესწავლას. მიკვირს, რომ წამოამხედრა ეს „ვითომ პატრიოტები“ და რას დარბიან ტიტველ მინდორზე ხმალ-ამოღებული?! იქნება—მიწვევენ?—დიდის სიამოვნებით, მაგრამ რომ გაიპარონ? რომ ტყვიან—ცხენს ვერ მოერიენ ტუნაგერს ამტვრევენო

სწორედ ისეა ჩვენი [illegible]; მე მაგარი ძვალი მაქვს; არ დავიმტვრევი [illegible] გადაგვარებული ვარ. მე ისევ ბერძენი გახლავარ და ბერძნობაში დავასრულებ თავის სიცოცხლეს.

ჩემს ადგილზე სხვა ყოფილიყო, მოიგონებდა კრილოვის რომელიმე ზღაპარ-არაკს, მაგრამ მე არც გკადრებ და არც ვიკადრებ უკიდურესობას.

ვინ იყო, რომ შარშანწინ ქართულ ენისთვის დირექციის წინააღმდეგ მოქმედობდა? აბა კითხეთ, ვისაც დევნიდენ! თუ დღემდი „ჩვენი კოწია“ ვიყავი და თქვენს ტაფაში ვიწოდი, დღეს „Константинъ“ შევიქენი? თუ ყენწეროში გაგიმწარდი?—მე, ხელახლა ვიმეორებ: გახლავარ არა გადაგვარებული, არამედ ვარ იმ სათაყვანო ერის შთამომავლობა, რომლის სინათლის შემწეობითაც ჯერ კიდევ ფეხზე დგანან მეზობლები. თუ ჩემმა წინაპარმა ვინმესი ქვეშევრდომობა მიიღო, ეს სრულიადაც არ ნიშნავს მონობის მიღებას. განვიცხადებთ, „თომებო„, რომ მე ამგვარის ახრიალებით ვერ შეჭკარდები: მე ტვირთში ვარ გაბმული და, სიმძიმის მიუხედავად, ადგილზე უნდა მივიტანო, თქვენ კი კერპთთაყვანისმცებლობას ხელი უნდა აალოთ და განსვენებულის ი. ს. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები გადაათვალიეროთ, შეასწორშამოასწოროთ და რაც ჯანგი მიკვრია, მოწმინდოთ. ეს არც საწყენია და არც საბოდიშო. ნეტარხსენებული ი. ს. გოგებაშვილის თაყვანისმცემელთაგანი მეც გახლავარ, მაგრამ, რომ მისი სახელი ისევ განახლდეს, საჭიროა მისის ნაშრომის განახლებაც დროისამებრ, თორემ ისარგებლებენ შემთხვევით მტრები, და დაერჩებით პირღია...

ვის რა საბუთი აქვს თქვას, რომ მე ოდესმე ქართული ენის წინააღმდეგი ვყოფილვიყო ან სიტყვით ან საქმით! სანამ ჯერ კიდევ მოწმენი ცოცხალ არიან პატივი მაქვს მოგახსენო შემდეგი: როდესაც მზრუნველი, მისი თანაშემწე, ორი დირექტორი, ორი ინსპექტორი და მრავალი საპატიო პირები მობრძანდენ ჩემდამო რწმუნებულს სასწავლებელში, საცა 8 მასწავლებელი და 400-მდე მოსწავლეები იყვნენ ორთავ სქესისა, და შემდეგ 5 საათის გამოცდისა, მკითხეს—რამ შემაძლებია ასე მაღლა დაყენება სასწავლებლისა, მივუგე, რომ **იარაღად მქონდა სამშობლო ენათქვა.**

თუ დედა-ენის სწავლების დახმარების მშინებოდა ან არ შემძლებოდა აისი თავთავის ადგილზე ხმარება რუსულის სწავლების დროს, გავამხელდი ამას?

მე რუსულის სწავლების დროს სამშობლო ენას მივმართავ, საჭიროების დროზე, როგორც ავათმყოფი—წამალს, და არა წაღმა-უკუღმა.

ნათქვამია—თუ მეზობლის დაქცევა გინდოდეს, რაც გთხოვოს ყოველთვის ყველაფერი ათხოვეო. ასეც: თუ გინდა, რომ მოსწავლემ რუსულის სწავლა არ მოინდომოს, ამ ენაზე ნუ ავარჯიშებ, ყოველი რუსული სიტყვა და წინადადება, გაეგება თუ არა, ქართულად გადაუთარგმნე. ჩემი აზრი კი ასეთია: რამდენი და რაც შეასწავლოთ მოსწავლეს რუსულად, დაუყონებლივ იმდენი ავრჯიშეთ ის შეძენილ სიტყვებისა და წინადადების ხმაურობაში; შიში და სიმორცხვე გაუფანტეთ, ახლად შეძენილი სიტყვები ცოტცოტაობით და ადვილგასაგებად ჩაუქსოვეთ შესწავლულ წინადადებებში.

თუ ვარგხართ, განაგდეთ სასოწარკვეთილება, იქონიეთ იმედი და რწმენა მაზედ, რომ სხვისი ენაც ამგვარად შეისწავლება და დარწმუნდებით, რომ ეშმაკები ისე სასაშიშრონი არ არიან, როგორათაც ხატვენ.

10,000-მდე მოსწავლე მყოლია, ყველასთვის განურჩევლად და უშიშრად მისწავლებია სამშობლო ენა, როდესაც ეს, იქნება, კანონისა და უფროსისაგან აღკრძალულიც კი მქონდა, და დღეს კი იძულებული ვარ „კრიდოვს“, მივმართო.

ამ გვარად ადამიანის პირადობის ასე დაუმსახურებლად გათელვის მონდომება მიმაჩნია სრულიად ურიგოებად იმათი მხრით, რომლებიც მხოლოდ ფეხის ხმას აყოლიათ. ნუთუ წერის მასალა ისე დაიაფდა, რომ სიზმრებზე სწერენ და ქვეყანის გულში ეჭვებს უბადებენ. „ვაიმხმარი ცხენის თავის გაჭენება ეს გახლავს“.

კიდევ თამამად მოგახსენებ, რომ „რუსული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის“, რომელიც აკმაყოფილებდეს დღევანდელს მოთხოვნილებას, არა გვაქვს, და თუ რაიმე გვაქვს, დრო თხოულობს მის გადაკეთებას. ეს აზრი მე არა ერთხელ მომიხსენებია ქუთაისის ქართული გიმნაზიის რამოდენიმე მასწავლებლებთათვის და ისინიც თანახმანი ყოფილან.

ბატონებო! ამის თქმა ცოდვაა? ეს საწყენი და საბოდიშოა? ამისთვის მთქმელი ჯვარს იცმის?! ახლა კი მჯერა, რომ, თურმე, ხანდახან მგლის მაგიერ მგლის ფერი ცხვარიც იკვლება.

არც მტკენია, არც მწყენია, რაც ვინმემ დამმართედ: სულგრძელობა ჯერ კიდევ მყოფნის; ბევრი დრო და ჟამი არ გაივლის, და დარწმუნდებით, რომ დღეს ჩემზედ ასე ამხედრება მეტად უადგილო იყო; ცოტას კიდევაც შეწითლებით, მაგრამ გვიანღა იქნება. ტასტი კი არ გატყდა, მაგრამ ხმა ხომ გავარდა, და მყუდროება დაირღვა. აი ჩემს პირველ საუბარში მასწავლებლებთან ვთქვი სხვათა შორის-ასე:

А, необходимо: 1) строгое соблюденіе послѣдовательности въ переходѣ отъ легкихъ формъ русскаго языка, аналогичныхъ съ грузинскими формами...

2. Русскую рѣчь не вбивать въ нѣжныя головки дѣтей въ безпорядкѣ и съ мучительными затрудненіями...

3. Обогащать--ростить русскую рѣчь одинаково съ родною...

4. Дать дѣтямъ возможность не только усваивать извѣстный матеріаль съ желаемой легкостью, по и любить русскій, государственный языкъ и пользоваться пріобрѣтенымъ матеріаломъ...

5. Установить тѣснѣйщую связь со школьной и домашней дѣйствительностями.

6. Избѣгать односторонности...

7. Опираться на наглядность... наглядныя пособія--драгоцѣиный матеріалъ, но еше цѣннѣе живые предметы...

8. Возбуждать въ дѣтяхъ смѣтливость, догадливость...

9. Составлять изъ даннаго или усвоеннаго магеріала возможно большее число рускихъ фразъ, разгорооъ и пр.. примѣнимыхъ къ дѣтской жизни...

10. Избѣгать иеханизапіи...

11. Пользоваться моментами, когда легко усвоить то или иное русское слово или фразу...

1. Зная р дную азбуку, легко пройти русскую..

5. Предворительная бесѣда на родномъ языкѣ облегчаетъ усвоеніе руссмой статьи и форму рѣчи...

20. Переводъ на родной языкъ достоточенъ 1—2 раза...

აბა ეკითხოს მსმენელთა, თუ ასე არ მოთქვამს.

ეკითხოს მ. დეკანოზს ი. ჭეიშვილს, თავჯდომარეს იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო რჩევისას, რომელიც, როდესაც მე გაკვეთილს ვაძლევდი, თურმე შამობრძანებულა, უკან მასწავლებლებში ჩამჯდარა და გაგებ ყურს მიგდებდა: უნდოდა შეეტყო---მართლა აირია თუ არა მონასტერი.

შემდეგ ამისა ნება მექნება თუ არა ვთქვა, რომ „შიშს დიდი თვალები აქვს“.

ურიგოებად არ უნდა ჩაითვალოს ვითხოვო მაცოდინოთ – რამ გამოიწვია „თომობა“ და ცილისწამება.

დასასრულ ამისა, უმორჩილესად ვთხოვ იმ ორგანოებსაც, საცა ამ საგანზედ რამე იყო თქმული, იგულისხმონ ან მთლად ეს სტატია გადაბეჭდონ მახლობელს ნომერში.

პატივისცემით კონსტანტინე თოხარის ძე მკურნალი (კორნარო).

# მელიტონ გობეჩია.

საშინელი ცნობა მოგვივიდა ამას წინათ, ქ. ხარკოვიდან. იქ გადაიცვალა საკატორღო ციხეში ერთი საუკეთესო თავდადებული და დაუღალავი თავისუფლებისთვის მებრძოლთაგანი მელიტონ გობეჩია.

ულმობელმა სენმა უდროოთ მოსტაცა ჯერ სულ ახალგაზდა გაუტეხელი ადამიანი ჩვენს სამშობლოს, არ დასცალდა კვლავ დაბრუნებოდა მშობელ მხარეს და ჩაკროდა საბრალო მოხუც დედას ძუძუებში, იმ ძუძუებში რომელმაც აღზარდა ასეთი სახელოვანი მებრძოლი, უანგარო ადამიანი.

უანგარო იყო, მეგობარო, შენი ამაგი; შენ არ შეუშინდი არავითარ დაბრკოლება-გაჭირვებას, შიმშილს და ყოველივე სატანჯველს, რის მოწმე სხვებთან ერთად, ყველაზე უფრო მე ვარ, შენი უბედური მეგობარი. ყველაფერს შენ მხნეთ და მამაცად იტანდი, გწამდა, რომ მომავალი და შენი იდეალი გაიმარჯვებდა, გუნდრუკს უკმევდი და აღფთოვანებული ბრძოლისკენ გაიცქირებოდი. არას დროს არ დამავიწყდება ის სურათი, როდესაც შენ იყავი წარმდგარი სასამართლოს წინაშე, შენი აღტაცებული სახის მეტყველებას, მაღალსა და მამაცურათ თავის დაჭერას, გაკვირვებაში მოყავდა ყველა შენი მნახველი.

როდესაც მოგმართე გულდათუთქულმა: „მელიტონ განა შენთვის ასეთ სასტიკ სასჯელს მოველოდით?“ მეთქი, შენ მხიარულათ მიპასუხე: „არაფერია, მეგობარო, ჩემს საყვარელ სამშობლოსთვის თუნდა სახრჩობელაზეც ამიყვანონ მაინც ქედს არ მოვიხრი“-ო.

არ ძალმიძს ავსწერო შენი სპეტაკი სულის კვეთება, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

იქ ცივსა და უცხო საფლავში განისვენებს შენი პატიოსნებით აღსავსე გული.

იქ, უცხო ხელებმა დაგიხუჭა თვალები და იქნებ იმ უცხო ხელებსაც ვერ ეღირსე... და ისე განუტევე ტანჯული სული ნესტიან და ვიწრო საკანის კუნჯულში...

1912 წ. ივნისის თვეში, როცა ვარშავის საკატორღო ციხეში უპირობდენ გაგზავნას, სხვათა შორის, მწერდა: „მართალია გული მწყდება, რომ ასე უსინიდისოთ და უდროოდ ამიდგეს ფეხი, მოშორეს ჩემს სამშობლო მხარეს, მაგრამ რის ვაჟკაცი ვარ, თუ ამასაც მხნედ არ შევხვდები?.. მშვიდობით, ჩემო მეგობაცაბუ. იქნება გზაზე განსაცდელმა ტლანქ ჯარის კაცის ტყვიამ, ზღვამ და ან სხვა რამ უბედურობამ მიმსხვერპლოს, მე არ შეუშინდები სიკვდილს, პირზე ღიმილით შევხვდები ყოველივე იმის მოგონებით, რომ იდეისათვის, ჩემი სამშობლოს სათაყვანო სამშობლოს განთავისუფლების საქმისთვის დავიტანჯე გავიწირე თავი, რომ აქ სამშობლოში მეგულება ჩემთვის თავდადებული, პატიოსანი და დაუფასებელი მეგობარი, რომელსაც მე ვებრალები, ჩემთვის ცრემლს დაღვრის, ტკბილათ მომიგონებს და სხვა...

განსვენებულის სახარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც იგი დროებით დასტოვეს და თავისი სამშობლოს ჰაერით სუნთქავდა.

19 იანვარს ამა წელს იგი ხარკოვის საკატორღო ციხეში გაგზავნეს---ეს მისი წერილიდან გავიგე, რომელიც 18 იანვრის დაწერილი 29 იანვარს მივიღე. მაშინ ვინ იცის რომელი გემი მიაქანებდა ცივს ქვეყნისკენ, რომ არას დროს არ დაბრუნებულიყო აქით.

შენ, რომელსაც არას დროს გულში ეჭვიც არ შეგპარია, რომ რამე გაგიჭირდებოდა, თითქოს გრძნობდი ამ უკანასკნელ ხანებში, რომ შავი სიკვდილი გეპარებოდა და შორიდან უკვე ხედავდი მის შეუბრალებლობას.

გაგზავნის შემდეგ ერთ თავის წერილში მწერდა: „მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! რასაკვირველია, მე ცოცხალს ვეღარ მნახავ, ალბათ. კატორგა-ციმბირიდან ვინ დაბრუნებულა სამშობლოში, რომ მე დავბრუნდე, მომიტოვე თუ რამ მიმიძღვის შენს წინაშე შეცოდებანი ნებითნი და უნებლიეთი და სხვა...

აი უკანასკნელი წერილი ჩემდამი.

ძვირფასო მეგობარო! შენი კეთილი მოგონება და ხსოვნა წაუშლელი იქნება ჩემ მახსოვრობაში, ვიდრე სული მედგმება. დაუვიწყარი იქნები შენი სამშობლოს ტანჯული ხალხის ისტორიაშიც.

ცაბუ.

# მ ც ხ ე თ ა.

(შთაბეჭდილება).

უნდა გულახდილათ მოგახსენოთ სირცხვილისაგან გაწითლებულმა, რომ მხოლოდ წელს მომეცა ბედნიერება მცხეთის ნახვისა; მართლაც და სირცხვილათ უნდა ჩაეთვალოს, ცოტათ თუ ბევრათ, შეგნებულ ქართველს მცხეთის უნახაობა. მცხეთა, ბევრს რასმე გვეუბნება ჩვენ ეს სიტყვა; მცხეთის, ამ საქართველოს ისტორიული ადგილის მოგონება, მისი საკუთარი თვალებით ნახვა ბევრ ტკბილ გრძნობებსა და მოგონებას აღვიძებს ქართველის გულში; ეს სიტყვა ოქროს ასოებით უნდა იყოს ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში. მართლაც და რა დაუბოლოებელ სიამოვნება-მწუხარებას, ერთად შეზავებულს, განიცდის იქაურობის მნახველი: პირველათ მნახველს იტაცებს გარეგანი სიმშვენიერე მცხეთის ტაძრისა; შეჰყურებთ ლამაზი ჩუქურთმით ნაშენ კედლებს და რწმუნდებით, რომ ერთ დროს ჩვენში ხუროთმოძღვრება უმაღლეს წერტილამდი ყოფილა განვითარებული. მაგრამ რა გამოვიდა დღეს ჩვენ სიამაყეს არათ ვაგდებთ, არ ვაფასებთ, არ ვუფრთხილდებით მას, მაგ. ეს დიდებული მცხეთის ტაძარიც, რომელიც სავანეს უნდა შეადგენდეს ჩვენთვის უყურადღებოთ არის მიტოვებული! მაღლიდან ერთ ადგილას წვიმას ჩამოუწვევთია, კედლებსაც შეკეთება ესაჭიროება; როგორც ვიცით, საქართველოს უკანასკნელი ეგზარხოსი, განსვენებული ალექსი ამ ტაძრის შეკეთებას აპირობდა, მაგრამ არ დასცალდა.

დაუყონებლივ საჭიროა ქართველმა სამღვდელოებამ, სამღვდელოების სათავეში მყოფმა პირებმა, ქართველმა საზოგადოებამაც მიაქციოს ყურადღება ამ ტაძარს, შეუდგენ იმის გაკეთების საქმეს, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება თითებზე კბენანი.

წმ. ნინოს მონასტერიც სიმშვენიერით არის შემკული; პირველათ თქვენს ყურადღებას იპყრობს წმინდა ნინოს საფლავი და მისივე ხატი მაყვლის ყვავილებ-ეკლებში დასვენებული; შეჰყურებთ იქვე ახლოს არმაზის მთას, სადაც კერპი იყო აღმართული, გესმისთ ტკბილი დუდუნი მტკვარ-არაგვისა, შედიხართ მონასტერში და ჰხედავთ მეფე მირიანისა და დედოფალ ანას საფლავს და თვალწინ გიდგებათ მთელი ჩვენი წარსული, ისტორია ჩვენი გაქრისტიანებისა...

ეს მონასტერიც ვერ ყოფილა კაი მდგომარეობაში ნივთიერის მხრით; ამ მონასტერში 40-დი მონაზონია. ერთ დროს მამულიც ჰქონია ამ მონასტერს, შემოსავალიც ბლომათ, მაგრამ თურმე ვიღაც ანანიაშვილს გაუფლანგავს სამონასტრო ადგილი. უკანასკნელათ ამ მონასტერს რაოდენიმე ქცევა ბაღი ვენახისა შერჩენია, რომლის წლიური შემოსავალიც 400 მანეთს არ აღემატება თურმე.

გრ. საქარიქედელი.

# სამეგრელოდან.

წავიკითხე გაზეთებში ფრიად საამო და მოსაწონი წერილი შესახებ დიდიხნით ნამსახურ მასწავლებელთა იუბილეს გამართვისა. დიდი მადლობის ღირსია ამ საკითხის აღძვრისათვის ბ-ნი ლადო ბზვანელი.

სიამოვნებით ვასრულებ პატივცემული ავტორის დავალებას და ვაწვდი ცნობას ერთერთი ჩვენს მხარეში დამსახურებული მასწავლებლის შესახებ.

ეს პიროვნებაა მასწავლებელი ნიკო სიმონის ძე ნაჭყებია.

ნიკო დაიბადა 8 იანვარს 1854 წელს ს. ხეთაში (ზუგდიდის მაზრაა). მამა-მისი სამონი ღვდელი იყო და მსახურობდა სამურზაყანოში ს. გალში; პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ოქუმის ორკლასიან სასწავლებელში. 1868 წელს ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ სკოლების დასათვალიერებლათ გამოგზავნა თფილისის სოსტატო სასწავლებლის მასწავლებლათ მყოფი ბ-ნი სტრელეცკი. მან ოქუმის ორკლასიანი სასწავლებლის დათვალიერების დროს ყურადღება მიაქცია პატარა მოწაფეს ნიკოს და თავისი ხარჯით წაიყვანა იგი თფილისში, სადაც ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯზე მიაბარა სოსტატო სასწავლებელთან არსებულ პირველდაწყებით სკოლაში. ამ სასწავლებლის დასრულებას შემდეგ, იმავე ხარჯზე მიღებულ იქნა სოსტატო სასწავლებელში. შემდეგ ეს უკანასკნელი გადაკეთებულ იქნა სოსტატო ინსტიტუტათ, რომლის კურსიც დაასრულა ნიკომ 1876 წელს, ამ წელს იგი დანიშნულ იქნა სამურზაყანოში ს. საბერიის ერთკლასიან სასწავლებლის გამგეთ; 1880 წელს გადაყვანილ იქნა გორის მაზრაში ს. ვანათში ასეთსავე ადგილზე; 1883 წელს ისევ დაბრუნდა სამურზაყანოში დიხაზურგას სასწავლებელში, სადაც მსახურობდა 1888 წლამდი; ამნაირათ სამურზაყანოში მან გაატარა 9 წლის სამსახური. აქ ამ დროს ცირკულიარებით სასტიკათ იყო აღკრძალული ქართულის სწავლება. მიუხედავათ ამისა, ნიკო სიმონის ძე გულმოდგინეთ განაგრძობდა ქართული წერა-კითხვის სწავლებას. ამისათვის ინსპექტორმა პერევოზნიკოვმა მუქარა გამოუცხადა ნიკოს, სამსახურიდან გადაგაყენებო. ამის შემდეგ მან ქართული წერა-კითხვის სწავლება მოაწყო ნასადილეობით, და თავისი შესანიშნავი სიჯანსაღე მშვენივრათ გამოიყენა დღეში ორჯერ მაცადინობისათვის და კარგათაც დააყენა სწავლება, ასე რომ, როდესაც ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან გამოგზავნილმა რევიზორმა არქიმანდრიტმა ლეონიდემ, აწ ყოვლად უსამღვდელოესმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, დაათვალიერა 1883 წელსა დიხაზურგას სასწავლებელი, დიდი მადლობა გამოუცხადა მას საქმის კარგათ წარმოებისათვის და საუკეთესო მოწაფეების ნაწერი ოთხი რვეული თან წაიღო.

1888 წელს ნიკო გადაიყვანეს თავის სამშობლო სოფელში, ხეთის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველის ადგილზე და ამ სასწავლებელს განაგებდა გულმოდგინეთ 1911 წლამდი, ხოლო ამ წელს 35 წლის სამსახურს შემდეგ თანამდებობიდან გადადგა და ცხოვრობს თავის ოჯახში ს. ხეთაში. თავის ხანგრძლივი სამსახურის დროს მას ერთხელაც არ უღალატნია თავის წმინდა მოვალეობისათვის. თავის აუჩქარებელი დინჯი ხასიათით და გულმოდგინე სამსახურით დაიმსახურა საერთო სიყვარული როგორც ამხანაგობისა, ისე ადგილობრივი საზოგადოებისა.

1896 წლამდი სოფლათ მთელ მაზრაში არ მოიპოებოდა არც ერთი საქალო სასწავლებელი, მხოლოდ ამ წელს პირველათ ნიკოს თაოსნობით დაარსდა ს. ხეთაში ერთკლასიანი სასწავლებელი.

უსათუოდ ამ პატიოსანი და დამსახურებული მუშაკის მოღვაწეობა უნდა იქნას აღნიშნული საზოგადოების მიერ იუბილეს გადახდით.

მასწავლებელი.

# რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

**კანონპროექტი რკ. გზის შესახებ.**

მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში შესატანად კანონპროექტი კერძო რკინის გზებზე სახელმწიფო საკანტროლო თვალყურისდევნების შესახებ.

**სასიკვდილოთ დაჭრა.**

პეტერბურგში, თეატრ „აკვარიუმის“ შესავალში ჩხუბის დროს სათადარიგო აფიცერმა სვისტუნოვმა რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა სააქციონერო საზოგადოების „ტრუდ“-ის დირექტორი ბერენდსი.

**მაგარი სასმელებით სავაჭროების დახურვა.**

კოლოგრივში სამი ოლქის გლეხობა შუამდგომლობს სამიკიტნოების დახურვის თაობაზე.

მინსკის გუბ. ნახევარი წლის განმავლობაში 102 საზოგადოების დადგენილება შემოსულა სახაზინო არყის გამყიდავ დუქნების დახურვის შესახებ.

**მინდვრის თაგვი.**

ხარკოვის გუბ. სამხრეთ-აღმოსავლეთ გზებში აუარებელი თაგვები გაჩნდა. მოწვეულია საერობო კრება მათ წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების მისაღებად.

**ცეცხლი.**

ცეცხლი მძინვარებს უნჟენისა, უფისა, ვიტებსკისა და რეჟიცკის მაზრებში.

**ხმები.**

სახ. საბჭოს წრეებში ამბობენ, რომ მინისტრთა საბჭოს ჟურნალი პურიშკევიჩის პასუხისგებაში მიცემის შესახებ კიევის გუბერნატორის სუკოვკინის ცილისწამებისთვის—არ იქნება დამტკიცებული. თუ დავიჯერებთ ამ ხმებს, მაშინ არც სახ. საბჭოს დადგენილება დეპ. ჩხეიძის პასუხისგებაში მიცემის შესახებ იქნება დამტკიცებული. (რ. ს.)

**ლომონოსოვის ინსტიტუტი.**

სახ. განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პეტერბურგში ლომონოსოვის ინსტიტუტის დაარსების პროექტი. ინსტიტუტი არსდება გამოკვლევებისათვის ფიზიკაში, ქიმიასა და მინერალოგიაში. ინსტიტუტში შეეძლებათ მუშაობა არა თუ მარტო მეცნიერთ ამ დარგებში, არამედ სტუდენტებს და კერძო პირთაც. ინსტიტუტის ასაგებათ საჭიროა 2770000 მან. (რ. ს.)

**დრაგომან პეტროვის საქმე.**

როგორც „რეჩი“ გადმოგვცემს საქმე დრაგომან პეტროვის გალახვის შესახებ სხვა მიმართულებას მიიღებს. ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია გარ. საქ. მინისტრმა საზონოვმა. მისი დავალებით, არციმოვიჩი აგროვებს მასალებს ამ საქმის შესახებ, რომლის შემდეგაც მოხსენებას წარუდგენს საზონოვს. ეს უკანასკნელი შემდეგ მიმართავს განმარტებისთვის იუსტიციის და გზათა მინისტრებს.

(რ. ვ.)

**ებრაელთა გადასახლება.**

კიევის საგუბერნიო სამართველომ ისეთი სასტიკი მოთხოვნილებები წამოაყენა ხელოსან ებრაელთა უფლების შემოწმების გარჩევის დროს, რომ გადასახლება მოელის 5,000 ოჯახს 30,000 სულს. ჯერ გადაასახლეს 200 ოჯახი. ამ გზას დაადგა კიევის სამოსწ. ოლქის მზრუნველი დერევიცკიც. მან ცირკულიარით უბრძანა სასწავლებლის უფროსებს, არ მიიღონ იმ ებრაელთა შვილები, რომელთაც არ აქვთ კიევში ცხოვრების უფლება. (რ. ს.)

**თურხან-ფაშა პეტერბურგში.**

თურხან-ფაშამ ინახულა გარ. საქ. მინისტრი საზონოვი. ბაასი საათზე მეტი გაგრძელდა. შემდეგ თურხან-ფაშას მოლაპარაკება ჰქონდა ინგლისის ელჩთან და სამთა კავშირის წარმომადგენლებთან. ამბობენ, რომ თურხან-ფაშას მოლაპარაკებამ დიდ სახელმწიფოთა ელჩებთან გამოარკვია, რომ ალბანეთის შუამდგომლობის საქმე კარგათ მიდის დიპლომატიურს წრეებშიო. ამბობენ აგრეთვე, რომ თურხან-ფაშას მისიას კარგი შედეგი ექნება პრინც ვიდისთვისო. (რ.)

# უცხოეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ინგლისის პარლამენტში.**

ლორდთა პალატა შეუდგა ჰომრულის ბილის შესასწორებელ ბილის მეორეთ კითხვას. ქვედა პალატაში საბიუჯეტო კამათი გაგძელდა, დასრულდება მხოლოდ 3 ივლისს.

**ყუმბარის აფეთქება.**

როსლინის ისტორიულ ტაძარში ყუმბარა აფეთქდა, რომელიც სუფრაჟისტებმა შეაგდეს. ტაძარი ძლიერ არ დაზიანებულა.

**დემონსტრაცია ულსტერში.**

უნიონისტურ დღესასწაულის წლის თავის დიდი დემონსტრაცია ულსტერში უჩვეულო ენტუზიაზმით გაირჩეოდა. კარსონმა 50,000 ბრბოს სიტყვით მიმართა და მათგან ულსტერლების საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოაწყო. ისინი გამართენ ქალაქ გარეთ იმ ადგილს, სადაც ორნაჟისტების მიტინგი იყო. ორივე პარტიის მეთაურთა ენერგიის წყალობით დღე მშვიდობიანად დასრულდა.

**მიტინგი ლისაბონში.**

ლისაბონში მიტინგი, რომელზედაც პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ თათბირობდენ, ხელჩართული ბრძოლით დასრულდა. რამდენიმე ალაგს სროლა ასტყდა, ქვების სროლაც იყო; რამდენიმე კაცი დაჭრილია. კავალერიამ და რესპუბლიკანურმა გვარდიამ ბრბო გაფანტა. წესიერება აღდგენილია.

**ალბანეთის ამბები.**

ჰოლანდიის გენერალი დევერი ვალონიდან დეპეშით იტყობინება, რომ ქალაქის დაცვა უიმედოა და ურჩევდა, რომ ქალაქში მყოფი 1500 კაცი დურაცოში გადაიყვანონ. გემმა „ჰერცოგოვინა“-მ განკარგულება მიიღო ვალონიდან გადაიყვანოს ჯარი, იარაღი, სანოვაგე და ტყვეები, რათა უკანასკნელნი მეამბოხეთ არ მიემხრენ.

იშმიდან მთავრობის ჟანდარმი იტყობინება, რომ იქ 4000 მეამბოხე შეგროვდა ექვსი ოსმალო ოფიცრის მეთაურობით. სიმაღლეებზე დიდი ზომის ზარბაზნები გამართეს. რუმინიაში გაიგზავნა რუმინიელი აფიცერი ფულითა და დავალებით, რომ რუმინიელ მოხალისეთა რაზმები შეადგინოს. პორტო-როკსანოდან მეამბოხეთ ორი სამთო ზარბაზანი

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დღიურები,
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, ჯიბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფაიფურის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.


დასდგეს. ასეთივე ზარბაზანი სდგას რაშბულში. ეპირელების მიერ დაპყრობილ ადგილებში 50,000 გაქცეული მოძრაობს. მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებლებს შემოწირულობა გაიღონ იმათ გამოსაკვებად, რომელნიც ვალონს უახლოვდებიან.

ანარქისტების შეპყრობის გამო.

ამას წინათ ყუმბარებით შეპყრობილი კირიჩენკოს და სხვათა საქმემ პარიზში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებდა, რომ ანარქისტებს შეთქმულება ქონდათ პუანკარეს წინააღმდეგაო. ამის გამო დიდი უკმაყოფილება იყო, აგრეთვე საერთოდ უცხოელ სოციალისტებით, მაგრამ ახლა საქმის ვითარება თანდათან ირკვევა. 27 ივნისს დეპუტატი სოციალისტი ადვოკატი ჟან ლონგე რესპუბლიკის პროკურორთან იყო; რუსეთისა და პოლონეთის სოციალისტების მხრივ მან პროტესტი განუცხადა პროკურორს უცხოელ სოციალისტების ჩხრეკის გამო.

ლონგესათვის სრულიად მოულოდნელათ პროკურორმა განაცხადა, რომ კირიჩენკოს არც ჟანდარმისათვის და არც გამომძიებლისთვის არ უთქვამს, რომ მას სურდა უმაღლესი პირონების წინააღმდეგ ტერორი.

აგრეთვე კირიჩენკოს არ უთქვამს ისიც, ვითომც ანარქისტების ორგანიზაციას დაევალებიოს მისთვის ტეროსისტული აქტის მოხდენა.

სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წარმომადგენელმა რუბანოვიჩმა „ჰუმანიტე“-ში განაცხადა.

— ნახევარ არშინიან ყუმბარებით ქუჩებში მოსეირნე ტერორისტების საქმეს აშკარად უდის პროვოკაციის სუნი რომელიმე ახალი ლანდეზენისა.

სოც.-რევოლიუციონერების პარტიას არა სწამს არაფერი საზღვარგარეთ ტეტორისტულ აქტებისა, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკურ ემიგრანტებს თავშესაფარი აქვთ.

ხმები, ვითომც პუანკარეს საწინააღმდეგო ტერორისტულ აქტს ამზადებდენ, ყოველსავე აზრს მოკლებულია. თავის დროზე, შეერთებული შტატების პრეზიდენტის გარფილდის მოკვლის გამო სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსთქვა აზრი, რომ შეუძლებელია თავისუფალი ქვეყნის მეთაურის მოკვლაო.

(რ. ს.).

## ღია წერილი

სტ. ჩახუნაშვილსა და ნაცვლიშვილს.

რადგანაც ჩემამდი მოაღწია ცნობამ, რომ თქვენ ჩემს შესახებ ცილისწამებას ავრცელებთ, რაც ჩრდილს აყენებს ჩემს პირადობას, გიწვევთ საამხანაგო სამართალში, რომელიც განიხილავს მე და თქვენ შორის მომხდარ კონფლიკტის მიზეზებს და მსჯავრს დასდებს თქვენგან გავრცელებულ ხმებს ჩემს შესახებ.

მედიატორებად ვასახელებ სტუდ. კ. ღონღუას და ლ. ქორქაშვილს. თუ პასუხს ორი დღის განმავლობაში არ მივიღებ, იძულებული ვიქნები ვრცელი წერილის საშუალებით დავახასიათო თქვენი საქციელი.

ი. ისაკა.

## დაბა-სოფელი.

წყალდიდობა სოფ. ქოლობანში. ეს ერთი თვე მიდის რაც კოკისპირული წვიმაა ჩვენსკენ, რის გამოც ადიდებულმა და ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარე ცხენის წყალმა წალეკა არათუ სახნავსათესი ადგილები—თვით სოფლელებიც-კი. თითქმის ½ არშინის სიმაღლე წყალმა გადმოიარა ს. ქოლობანში. კაცის შემყლაპველ ვეშაპათ მოეჩვენა ხალხს ეს ვეებერთელა, ზღვად ქცეული მდინარე, რის გამოც, სულიერათ აღშფოთებულ სოფლელთა წივილ-კივილს საზღვარი აღარა ჰქონოდა. უნდა გენახათ რა თავ-გამოდებით მიარბენიებდა დედა თავისს პატარა შვილს და მოზრდილნი შინაურ პირუტყვებს. მაგრამ სად?! ყველგან წყალი, ყველგან ურვა და შფოთვა, ყველგან—წყევაკრულვა.

აი, სწორეთ ასეთ ჯოჯოხეთურ სულიერ განწყობილებაში იყვნენ სოფლელები, როდესაც მათ და სანუგეშებლად მოირბინა ადგილობრივი საბოქაულოს განყოფილების ბოქაულმა და მამობრივის მზრუნველობით გაამხნევა ხალხი. ხალხი მრავლავდ დაზარალებული, თვალცრემლიანი შესცქერის თავის ჭირნახულს, რომლის ერთი წილიც იქვე გაანადგურა წყალმა, მხოლოდ დანარჩენი ზღვას მისცა საფოორიაქოდ. ღობეები დალეწილ-დანგრეულია, ყორეები წაქცეული, ქოხები დაქცეული, და შინაური ფრინველები განადგურებული. გულის შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენს დღეს ქოლობანი. დიახ, სატირალ პირობებში არიან ჩაცვინულნი ამ სოფლის მკვიდრნი.

მომავლისთვის აუცილებლათ შიმშილს უნდა მოელოდენ ქოლობნელები, მათ ესაჭიროებათ მთავრობის დახმარება ჩარევა ამ საქმეში, რომ შიმშილმა არ გაანადგუროს მშრომელი ხალხი. თუ მდინარის მსვლელობას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, ის რამდენიმე სოფელს ბარგს აუგრავს.

ის. მაღლაკა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

„იმერეთის“ 47-ე ნუმერში მოთავსებული იყო წერილი ვიღაც ი. იაკობსონისა, რომლისგანაც ვცანით, რომ ბ. იაკობსონს და სტუდენტ კუზანოვს რაღაც უსიამოვნება მოსვლიათ, რის გამო ვითომც სტუდ. კუზანოვს შეურაცხყოფა მიეყენებიოს ებრაელთა ერისთვის, „ისიც“ საზოგადოების წინაშე; ამის გამო დიდ საყვედურს უცხადებს სალამოს გამგეობას, რომელთაც, მისი სიტყვით, „არავითარი ყურადღება არ მიაქციეს სტუდენტ კუზანოვის მოქმედებასო“ და სხვა.

ეს წერილი ჩვენ ძლიერ გვანცვიფრებს: ბ. იაკობსონისა და სტუდ. კუზანოვის ინციდენტის შესახებ ჩვენ მხოლოდ ზემოხსენებული „იმერეთის“ № ში მოთავსებულ ბ. იაკობსონის წერილიდან შევიტყეთ, რადგან „საზოგადოების წინაშე“ არავითარი უსიამოვნო ამბავი არ მომხდარა; თორემ ნუთუ ერთმა მაინც გამგემ ვერ შენიშნა რამე? სომხეთ სკოლაში არა ერთხელ გამართულა სალამო, სადაც ებრაელთა საზოგადოება ბლომად დასწრებია, მაგრამ არა დროს არც ერთ მათგანს შეურაცხყოფა არ მიუღია. არამედ გულითადი მადლობა გამოგვიცხადებია მობრძანებისა და თანაგრძნობისათვის.

ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ სტუდ. კუზანოვისა და ბ. იაკობსონის შორის რაღაც კინკლაობა მომხდარა, და ბ. იაკობსონს უფრო დიდ ეფექტისათვის ნაცარში ბდღვირის აყენება მოუნდომებია,—რიხიანი წერილით მიუმართავს საზოგადოებისათვის: „აი, შემომხედეთ, როგორი მსხვერპლი ვარ ტანჯული ერისთვისო!“

ვურჩევთ ბ. იაკობსონს ეგ ქამანდები სხვაგან იხმაროს; ცოტათი მაინც შეგნებულ კაცს არ ეკადრება მაგგვარი საქციელი.

ბ. იაკობსონ! თუ ვისმესგან შეურაცხყოფა მიიღეთ,—მისი გამგენი რა შუაში არიან? გარდა ამისა, რატომ ერთ ჩვენგანს არ მიმართეთ თქვენი საყვედურით იქვე, სკოლაში? თქვენზეა ნათქვამი ქართული ანდაზა: ამირან გულში მღეროდა, ყმანი ბანი მამეცითო.

ქუთ. სომეხთა სკოლის მზრუნველობა.

## სია

იმ პირთა, რომელთაც შესწირეს სხვადასხვა ნივთი წერა-კითხვის საზოგადოებას 4 მაისის საღამოს გასამართავათ.

გაგძელება იხ. „იმერ.“ 90-ე №.

ტყეშელაშვილის კანდიტერმა ერთი ტორტი, კასოვსკის კანდიტერმა 1 კულიჩი, ჩილინგაროვის კანდიტერმა 1 ტორტი, კუჭავას კანდიტერმა ერთი ტორტი, მარგალიტა ჭილაძის მეუღლისაგან ნივთებს გარდა ბუფეტისათვის ზუთხი, კნეინა ელენე წულუკიძისაგან, კნეინა იულია მიქელაძისაგან ერთი ტორტი, მელანია გველესიანისაგან 3 ტორტი და შემწვარი გოჭი, მაროთ ბოკერიას მეუღლისაგან 1 ფორმა ნაყინი, ი. ეზიკოვის მეუღლისაგან 1 ფორმა ნაყინი, სოფიო გრინოვის მეუღლისაგან 1 ფორმა ნაყინი, ელისაბედ ტყეშელაშვილის მეუღლისაგან 1 ფორმა ნაყინი, ელენე ქორქაშვილის მეუღლისაგან მაზურკა, ნარსიას ასულის ნიჟარაძისაგან 1 ფორმა ნაყინი, მარიამ გოკიელოვის მეუღლისაგან პონჩიკები ბავშების სუფრისათვის, ალექსანდრა ასათიანისამ პიროშკები ბავშების სუფრისათვის, ნადეჟდა მხეიძისამ პონჩიკები იმავე სუფრისათვის, გრიგოლ ალშიბაიასაგან შემწვარი ცხვარი, სოფიო ვ. ასულის ახვლედიანისაგან შემწვარი ქათმები ტყემლით, სამსონ არჯავანიძემ 1 გოჭი, გრ. არჯავანიძემ 2 ოყა ზუთხი, ხარბელიასაგან შემწვარი გოჭი, ონისიმე ბაბუნაშვილმა 6 წიწილი, სამსონ კიკავამ ხუთი წიწილი აბზიანიძემ 50 ბოთლი ხილის წყალი, მიტრაფონე ლაღიძემ აგვინთო ოთხი დიდი ელექტრონის ფარანი უსასყიდლოთ, ლაღიძემ და მისმა ამხანაგობამ 50 ბოთლი ხილის წყალი და 4 ფუთი ყინული, ავდოთი მეძმარიაშვილისამ ორი ჩასაციებელი ქათამი, ს. დოლიძისაგან შემწვარი ბატკანი, მაჭარაძისაგან ცხვარი, ვ. კოსტავამ 10 ბოთლი ღვინო, ოსიპოვმა ნახევარი ფუთი პური, ილიკო მირქანოვმა 1 მან. ხორცი და მ. ჯანაშიამ 14 შაური.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.


ექიმის იკ. ბოკერიას
საავათმყოფო
გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის აბანო,
რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.
ზემოხსენებული კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმარიო,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.
პატივისცემით გ. მ. არჯავანიძე.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.
წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ
ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრს და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან)
ა. თაბაგარის მაღაზიაში.
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობა ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.


## რკინის გზა

| ქუთაისიდან მიდის | | | | ქუთაისს მოდის. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. | | თფილისიდან: | ფოშტის სალამ. | 6 საათ. 57 |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. | | | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 |
| | სახალხო დილის | 10 საათ 10 წ. | | | სახალ. საღამოს | 9 საათ. 44 |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. 7 წ. | | | სახალხო ღამით | 5 საათ. 50 |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. | | ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. | | | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. | | | სახალხო დღით | 11 საათ. 22 |
| | სახალხო დილის | 4 საათ. 27 წ. | | | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. 14 წ. | | ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. 3 |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 57 წ. | | | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 |
| | სახალხო დილით | 4 საათ. 27 წ. | | | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. | | | სახალხო ღამით | 3 საათ. 50 |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. | | | | |
| შორაპანს: | საგარეჯო საღამოს | 5 საათ. 00 წ. | | შორაპნიდან: | საგარეჯო დილ. | 9 საათ. 18 |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. 20 წ. | | ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. 39 |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. 20 წ. | | | სახალხო დილით | 9 საათ. 38 |


ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები
ყველაზე იაფად


შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.


სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.